



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 13 თებერვალი, 2014 წელი

დრო: 13:00 – 15:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ივანე ჩხიკვაძე - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
3. ნათია კუპრაშვილი - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
4. ირინა ფუტკარაძე - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი, საზოგადოებრივი დამცველი
5. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი, ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
6. ოლეგ შატბერაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი, ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
7. ნინო ჩხობაძე - მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
8. თამაზ ვაშაკიძე - მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი, საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
9. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი, სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი
10. ლევან ბოჭორიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი, საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"

განსახილველი საკითხები:

1. პლატფორმის წესდება
2. ეროვნული პლატფორმის ურთიერთობების ფორმალიზება ხელისუფლების შტოებთან
3. ეროვნული პლატფორმის სახელწოდება
4. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ჩატარება თბილისში
5. ეროვნული კოორდინატორის ანგარიში
6. ახალი წევრების მიღება

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს პლატფორმის წესდებაში შესატან ცვლილებებზე და შეთანხმდნენ, რომ ამ საკითხის დეტალურად განსახილველად ჩატარდება ცალკე შეხვედრა 2 კვირის შემდეგ.

დამსწრეებმა განიხილეს ხელისუფლების შტოებთან ეროვნული პლატფორმის ურთიერთობების ფორმალიზების საკითხი. პლატფორმის თავმჯდომარის თქმით, აუცილებელია საქართველოს ეროვნულმა პლატფორმამ მთავრობასთან გაფორმოს თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც გულისხმობს სტრუქტურულ დიალოგს ხელისუფლებასთან. მემორანდუმის ხელმოწერის მთავარი მიზანია სამინისტროებთან და პარლამენტის კომიტეტებთან თანამშრომლობის ერთიანი ფორმატის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც სახელისუფლებო შტოებს ექნებათ გარკვეული ვალდებულება ევროპულ საკითხებზე გაიარონ კონსულტაციები ეროვნული პლატფორმის წევრებთან და მიიღონ მათგან რეკომენდაციები. ეს ხელს შეუწყობს როგორც მთლიანად პლატფორმის, ასევე მისი ცალკეული წევრი ორგანიზაციების განვითარებას. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ეროვნული პლატფორმა იქნება პირველი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პლატფორმებს შორის, რომელიც ასეთ მემორანდუმს გააფორმეს, სხვა პლატფორმებს მსგავსი გამოცდილება არ აქვთ. თავმჯდომარის თქმით, მან უკვე დაიწყო მუშაობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ისინი მზად არიან თანამშრომლობისათვის, შესაბამისად, საჭიროა ამ მიმართულებით აქტიური მუშაობის წარმოება რეალური შედეგის მისაღწევად.

მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ პლატფორმის ნებისმიერი აქტივობა, იქნება ეს ურთიერთობა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, სხვადასხვა ღონისძიებები თუ განცხადებები, საფუძვლიანად უნდა იქნეს განხილული და შეჯერებული საკოორდინაციო საბჭოში. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ეფექტური კოორდინაცია როგორც ჯგუფებს, ასევე ჯგუფებსა და საკოორდინაციო საბჭოს შორის.

მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორის თქმით, პრემიერ-მინისტრთან არსებული ეკონომიკური საბჭოს აპარატის ინიციატივით შეიქმნა დარგობრივი კომისიები ინფრასტრუქტურის, ფინანსთა,

ეკონომიკის, ენერჯეტიკის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებში. მესამე ჯგუფი დაინტერესებულია ჩართოს თავისი წევრები აღნიშნული კომისიების მუშაობაში. ამ მიზნით თანაკოორდინატორები აპირებენ მოამზადონ წერილი სამინისტროების სახელზე და მათი აზრით, კარგი იქნება თუ ეს წერილები გაიგზავნება ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარის ხელმოწერით. თავმჯდომარის თქმით, მისასალმებელია პლატფორმის წევრების ჩართვა სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში, თუმცა საჭიროა ამის შესახებ როგორც საკოორდინაციო საბჭოს, ასევე სამუშაო ჯგუფების ინფორმირება და შესაბამისი აქტივობების კოორდინირება.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს თავმჯდომარის მიერ წინა შეხვედრაზე წამოაყენებულ წინადადებაზე პლატფორმის უფრო მოკლე სახელწოდებით მოხსენიებასთან დაკავშირებით. თავმჯდომარის თქმით, არსებული სახელი გრძელია და რთული დასამახსოვრებელია როგორც საზოგადოებისათვის, ასევე მედიისთვის. არის მოკლე სახელის რამდენიმე სავარაუდო ვარიანტი. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ შემდეგ შეხვედრაზე დეტალურად განიხილავენ ამ ვარიანტებს.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის თბილისში ჩატარების საკითხზე. აღნიშნა, რომ ფორუმის ორგანიზება საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია, აუცილებელია შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც პლატფორმის თავმჯდომარე უხელმძღვანელებს. ეროვნული კოორდინატორის თქმით, პირველ რიგში შესარჩევია ფორუმის ჩატარების ადგილი თბილისში, რომელიც შეძლებს 300-ზე მეტი სტუმარის მიღება-განთავსებას და პარალელური სესიებისთვის ოთახების უზრუნველყოფას. შესარჩევია ასევე ფორუმის ჩატარების ოპტიმალური თარიღი. საორგანიზაციო საკითხების ეფექტურად და დროულად მოსაგვარებლად საჭიროა კოორდინირებული მუშაობა მთავრობასთან. საქართველომ ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ არ განმეორდეს მოლდოვის ფორუმის დროს დაშვებული შეცდომები. ეროვნულმა კოორდინატორმა აღნიშნა, რომ ძალიან სწრაფად არის შესაქმნელი საორგანიზაციო კომიტეტი და გასაწერია ტექნიკურ დავალებათა სია. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ პირველ რიგში გაიწერება ტექნიკური დავალება და ამის შემდეგ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით მოხდება საორგანიზაციო კომიტეტის ფორმირება.

ეროვნულმა კოორდინატორმა საბჭოს წევრებს გააცნო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საკოორდინაციო საბჭოს 2014 წლის 3-4 თებერვლის შეხვედრის ანგარიში. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ ანგარიში აიტვირთება პლატფორმის ვებგვერდზე და დაიგზავნება საერთო ქსელში. ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

<http://eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/Angarishi%203-4%20Tebervali,2014.pdf>

ეროვნულმა კოორდინატორმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ექვსი ეროვნული პლატფორმის საერთო პროექტის ფარგლებში საქართველოს 2014 წლის სამოქმედო გეგმა. ეროვნული კოორდინატორის თქმით, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია საინფორმაციო კამპანიის დაწყება ასოციების ხელშეკრულების, DCFTA - ისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ. აღნიშნული კამპანია გულისხმობს საინფორმაციო ბროშურების (დაახლოებით 10 ათასი), მათ შორის ბრაილის შრიფტით, დაბეჭდვა-გავრცელებას. პროექტით გათვალისწინებულია ასევე ეროვნული პლატფორმის Facebook - ისა და Twitter - ის გვერდების შექმნა. რამდენადაც Twitter - ი ნაკლებად პოპულარულია საქართველოში, გადაწყდა, რომ შეიქმნება ეროვნული პლატფორმის Facebook - ის გვერდი.

პროექტით გათვალისწინებულია ასევე ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა თემებზე, 3 პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა DCFTA - ის თემებზე, 10 სტატიის გამოქვეყნება აღმოსავლეთ პარტნიორობაზე და ორი ვორკშოპი გარემოს დაცვის საკითხებზე. გათვალისწინებულია ასევე ტრენინგი მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობაზე მონიტორინგის განხორციელების თემაზე, გამოყოფილია მცირე თანხა პლატფორმის ვებგვერდის განვითარებისთვის. გადაწყდა, რომ შემდეგ შეხვედრაზე საბჭოს წევრები წარმომადგენელ კომენტარებსა და წინადადებებს პროექტით დაგეგმილი აქტივობების, განსახილველი საკითხებისა და თემების შესახებ.

შეხვედრის ბოლოს დამსწრეებმა განიხილეს პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების განაცხადები. მსჯელობის შედეგად დადებითად გადაწყდა 5 ორგანიზაციის წევრობის საკითხი:

1. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
2. საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი
3. ქალთა საინფორმაციო ცენტრი
4. "მარნეულის დემოკრატი ქალთა საზოგადოება"
5. საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"

გაწევრიანების მსურველთა სიმრავლის გამო გადაწყდა, რომ დარჩენილ განაცხადებს საბჭოს წევრები შემდეგ შეხვედრაზე განიხილავენ.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია